—

საყვარელო მეგობარო,

მინდა გითხრა რაღაც, რაც სულ ვფიქრობ და შენთან განსაკუთრებით მინდა გავიზიარო — რას ნიშნავს ჩემთვის, როგორც დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული თაობის წარმომადგენლისთვის, სიტყვები დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ჩვენ დამოუკიდებელ საქართველოში გავიზარდეთ. არ გვახსოვს ომები, არ გვინახავს ის უშუქობა და სიცივე, რასაც ჩვენი მშობლები ყვებიან. თითქოს ყველაფერი წესრიგშია — გვაქვს ინტერნეტი, ვსწავლობთ, ვმოგზაურობთ, ვსაუბრობთ როგორც გვინდა, ვისთანაც გვინდა. მაგრამ ცოტა რომ ჩავუღრმავდები, ვხვდები: დამოუკიდებლობა კი გვაქვს, მაგრამ თავისუფლებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი.

ხანდახან მგონია, რომ თავისუფლება მხოლოდ ფიზიკური არ არის — ეს არის თავისუფლება აზროვნებაში, არჩევანში, თვითგამოხატვაში. როცა გეშინია, როგორ ჩაგხედავენ, თუ განსხვავებულად ფიქრობ; როცა ფიქრობ, რომ შენი ხმა არავის აინტერესებს; როცა ზრუნავ იმაზე, რას იტყვის "საზოგადოება" — ეს უკვე თავისუფლება აღარ არის.

მე ვგრძნობ, რომ ჩვენი თაობა რაღაც ახალია — უფრო ხმამაღალი, უფრო აქტიური, უფრო შეკითხვებით სავსე. და ეს კარგია. იმიტომ, რომ თუ არ ვიკითხავთ, რას ნიშნავს თავისუფლება ჩვენთვის — ვერ მივალთ იქამდე, რომ ვიყოთ ნამდვილად თავისუფლები.

დამოუკიდებლობა გვაჩუქა ისტორიამ, გმირებმა, ვინც სიცოცხლე დათმეს ამისთვის. მაგრამ თავისუფლება არის ის, რასაც ყოველდღე ვაშენებთ — ჩვენ, შენ და მე.

ვგრძნობ პასუხისმგებლობას — რომ ჩვენი თაობა უნდა გახდეს ის, ვინც იმ დამოუკიდებლობას შინაგან შინაარსსაც მისცემს. გავიზარდოთ ისეთი საზოგადოება, სადაც ადამიანი ნამდვილად იქნება თავისუფალი — იმაზე მეტადაც კი, ვიდრე ეს კონსტიტუციაში წერია.

მჯერა, რომ ამას შევძლებთ. უბრალოდ არ უნდა გავჩერდეთ კითხვებზე, ფიქრზე და ერთმანეთზე ზრუნვაზე.

შენთვის საუკეთესო სურვილებით ნია

From independence to freedom

Dear friend,

There’s something I’ve been thinking about a lot lately, and I really want to share it with you — what independence and freedom mean to me, as someone born and raised in an independent Georgia.

We were born in a free country. We didn’t witness the wars, the darkness, or the cold our parents often talk about. On the surface, everything seems fine — we have the internet, we study, we travel, we can speak our minds and choose our paths. But when I dig a little deeper, I realize: yes, we have independence, but true freedom — we’re still on the way there.

Sometimes I think freedom isn’t just about physical borders or rights. It’s about how we think, how we choose, how we express ourselves. If you’re afraid of how people will see you for

thinking differently… if you feel like your voice doesn’t matter… if you constantly worry about what “society” will say — then you’re not really free.

I feel like our generation is something new — louder, more active, more full of questions. And that’s a good thing. Because if we don’t ask what freedom truly means for us, we’ll never fully reach it.

History gave us independence. Heroes sacrificed their lives for it. But freedom — real freedom — is something we build every single day. You and me.

I feel responsible. I believe it’s up to our generation to give true meaning to independence — to create a society where people are not only free on paper, but free in their minds and hearts.

I truly believe we can make that happen. We just have to keep thinking, questioning, and caring for each other.

Wishing you all the best

ნია სალია